

JEL Classification: F13, F14

<https://doi.org/10.35945/gb.2020.09.008>

TRADE POLICY RESPONSES TO THE CONTEMPORARY CHALLENGES OF THE GLOBAL MARKET

LELA JAMAGIDZE**Phd, Assistant professor**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

lela.jamagidze@tsu.ge

Abstract. The present paper discusses several new trends in the global trade such as digitalization of trade, regional trade agreements and the emergence of new global players. Based on theoretical research and the study of the available secondary statistical data it analyzes how trade policy can address these changes under the existing world trading system.

Trade rules underlying the traditional trading system are still applicable under increasing digital trade and enhanced bilateral and regional trade integration. However, WTO Agreement has nothing to do with those barriers of trade that go beyond traditional trade measures and are very acute for the developing countries. They involve access to the Internet and other telecommunication infrastructure, weak formal institutions and legal protection, lack of awareness about the potential benefits and opportunities in digital trade and lack of IT literacy. In order to overcome these barriers developing countries should incorporate trade policy as a component of deep economic reforms. The pace of development of the multilateral trading rules is slower than required by increasingly flexible business models. Therefore, countries try to find solutions at the bilateral and plurilateral levels. For instance, the EU develops regulations under Digital Single Market as well as within its bilateral trade agreements with non-member states. Georgia is implementing digital economy regulations in accordance to its DCFTA with the EU.

Access to information and communication technologies is essential to be engaged in digital trade. For developing countries investments in digital infrastructure is an important policy issue, while developed countries are more focused on balanced trade rules, which ensure the development of digital trade, on the one hand and security and data protection, on the other.

Contemporary trade policy goes beyond regulation based on classical trade instruments. It encompasses regulation within regional trade and investment agreements, technical standards and other behind-the-border measures, regulation of services and intellectual property markets and support for sustainable development goals, etc. A large part of the contemporary regional trade agreements covers all these areas. The development of bilateral and regional cooperation by encouraging deep integration can be discussed as an effort to overcome inflexibilities of the multilateral system. Regional integration enables countries to develop selective approach towards their trade partners and maintain certain degree of autonomy by applying different trade rules towards different partners. Elimination of behind the border barriers and enhanced regulatory harmonization leads to reduced trade costs, but it also leads to race to the bottom in regulatory facilitation what might be detrimental to the national policy goals. The effects of deep economic integration cannot be assessed based on the traditional approach of trade creation and trade diversion, because integration as an institutional process affects not only trade flows but also economic and institutional development levels of the countries.

Deep regional integration reduces institutional differences within regions and increases them across regions. Besides it, the increasing role of BRICs countries in international trade leads to greater diversity of actors in the world market. New global players ask for greater voice in the process of reforming trade rules. Therefore, global trade rules should reflect the diversity that comes from changes in the patterns as well as the main players of the world market.

KEYWORDS: TRADE POLICY, DIGITAL TRADE, REGIONAL TRADE AGREEMENTS, TRADE RULES.

For citation: Jamagidze, L. (2020). Trade Policy Responses to the Contemporary Challenges of the Global Market. *Globalization and Business*, №9, pp. 70-76. (In Georgian) <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.008>

სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებები გლობალური ბაზრების ახალი გამოწვევების საპასუხოდ

ლელა ჯამაგიძე

ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

lela.jamagidze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: სავაჭრო პოლიტიკა, ციფრული ვაჭრობა, რეგიონული სავაჭრო შემთავსებები.

ციტირებისთვის: ჯამაგიძე, ლ. (2020). სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებები გლობალური ბაზრების ახალი გამოწვევების საპასუხოდ. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №9, გვ. 70-76. <https://doi.org/10.35945/gb.2020.09.008>

შესავალი

სტატიაში განხილულია მიმდინარე ტექნოლოგიური და სტრუქტურულ-გეოგრაფიული ცვლილებების გავლენა მსოფლიო ვაჭრობაზე და განალიზებულია სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებები, რომლებიც ამ ცვლილებებს პასუხობს. ერთი მხრივ, ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ვაჭრობის განვითარება, ხოლო მეორე მხრივ, პროტექციონისტული ტალღის გაძლიერება სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაში წინააღმდეგობებს ქმნის. ამასთან, 2008-2009 წლების გლობალური კრიზისის შემდგომ პერიოდში მსოფლიო ვაჭრობის შემცირება და გაჯანსაღების ნელი პროცესი სავაჭრო პოლიტიკისთვის გამოწვევას წარმოადგენს და ამყარებს მოსაზრებას, რომ მომავალში ვაჭრობის განვითარება მნიშვნელოვანწილად სავაჭრო პოლიტიკის მიმართულებების არჩევანზე იქნება დამოკიდებული (Goldberg, 2019).

სტატია წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: ტექნოლოგიური ცვლილებების მრავალმხრივ სავაჭრო პოლიტიკაზე გავლენას ციფრული ვაჭრობის განვითარებისა და შესაბამისი სავაჭრო წესების მიხედვით განვიხილავთ. სტრუქტურულ-გეოგრაფიული ცვლილებების გავლენის ანალიზისთვის შესწავლილია ინტეგრაციული დაჯგუფებების როლი და მათ ფარგლებში სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე, ასევე, მსოფლიო ბაზრის ახალი მოთამაშეების გავლენით მრავალმხრივ სავაჭრო პოლიტიკაში მოსალოდნელი ცვლილებები.

სავაჭრო პოლიტიკა ციფრული ვაჭრობის განვითარების პირობებში


თანამედროვე პირობებში გლობალური ვაჭრობის განვითარებაზე გავლენას ახდენს ციფრული ტექნოლოგიების

უახლესი მიღწევების დანერგვა და გამოყენება. ციფრული ტექნოლოგიები ცვლილებებს იწვევს საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში, სავაჭრო დანახარჯებსა და მონაწილე სუბიექტების მახასიათებლებში.

ციფრულ ვაჭრობაში ურთიერთობების ოთხ ტიპს შორის – (a) B2B (ბიზნესისა ბიზნესის მიმართ); (b) B2C (ბიზნესისა მომხმარებლის მიმართ); (c) B2G (ბიზნესისა მთავრობის მიმართ) და (d) C2C (მომხმარებლისა მომხმარებლის მიმართ) – დომინანტურია პირველი, რაც კომპანიებს შორის ციფრულ ვაჭრობას მოიცავს (UNCTAD, 2015). სხვადასხვა შეფასებით, 2015 წლისთვის ამ ტიპის მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა \$19.9 ტრილიონი იყო, ხოლო მეორე კატეგორია უტოლდებოდა \$2.2 ტრილიონს (UNCTAD, 2016).

ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს კომპანიებს, ადვილად დაძლიონ გეოგრაფიული და საზღვრებთან დაკავშირებული სავაჭრო ბარიერები, სწრაფად გახდნენ გლობალური, უფრო ადვილად შეაღწიონ ახალ მიწოდების ჯაჭვში და ახალ ბაზრებზე. ამდენად, ინტერნეტ-ეკონომიკის განვითარება სავაჭრო ბარიერების შემცირებაზე ორიენტირებული პოლიტიკის რეალიზაციის ხელშემწყობია, მაგრამ, მეორე მხრივ, ციფრული ვაჭრობა რეგულირების თვალსაზრისით ბევრ გამოწვევას ქმნის. ის, როგორც წესი, თანაკვეთაშია პოლიტიკის სხვა სფეროებთან, როგორებიცაა პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ინტელექტუალური საკუთრების და ტექნოლოგიების ტრანსფერის რეგულირება. მაგალითად, მონაცემთა დაცვის რეგულაციები ზღუდავს კლიენტთა მონაცემებზე წვდომასა და მათ ტრანსფერს; ინტელექტუალური საკუთრების არასრულყოფილი მარეგულირებელი ჩარჩო-წესები სათანადოდ ვერ იცავს მომსახურების მწარმოებლებს, მომხმარებლებს და პროვაიდერებს; ონლაინ პლატფორმების რეგულაციები, მონაცემთა ლოკალიზაციის მოთხოვნები, ვებ გვერდების გაფილტვრა და

დიაგრამა. გლობალური სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების ექსპორტის წილი კომერციული მომსახურების ექსპორტში (%)



წყარო: UNCTAD, 2017

ბლოკირება, ერთი მხრივ, უსაფრთხოების აუცილებლობითაა ნაკარნახევი, მაგრამ, მეორე მხრივ, სავაჭრო ბარიერებს წარმოადგენს. აღნიშნულთან ერთად, ციფრულ ვაჭრობაში ბარიერებს ქმნის დისკრიმინაციული სტანდარტები და ტესტირების მოთხოვნები, ელექტრონულ გადახდებზე დაწესებული შეზღუდვები (აკრძალვები) და ტექნოლოგიების იძულებითი ტრანსფერი.

გლობალური ციფრული ვაჭრობის მასშტაბების შეფასებისთვის საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული სტატისტიკური მაჩვენებლები აერთიანებს როგორც ელექტრონული არხებით მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ნაკადებს, მონაცემთა საერთაშორისო ტრანსფერს, ასევე, არაპირდაპირ მაჩვენებლებს, რომლებიც ციფრული ვაჭრობის ინფრასტრუქტურულ პირობებს ახასიათებს. ესაა საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა.

გლობალური ციფრული ვაჭრობა, გაზომილი კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურების მსოფლიო ექსპორტის მიხედვით, თანმიმდევრულად მზარდ ტენდენციას ავლენს.

საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლის ექსპორტის წილი მთლიან მსოფლიო ექსპორტში 2009 წელს 11.96%-დან 2016 წელს 11.51%-მდე შეიცვალა. საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლით ვაჭრობაში ქვეყნებს საკმაოდ განსხვავებული პოზიციები უკავიათ – მთლიანი ექსპორტის 38% ჩინეთზე მოდის, ხოლო მას მოსდევს ევროკავშირი 18%-იანი წილით, იმპორტში კი ევროკავშირს უჭირავს უდიდესი – 21%-იანი წილი, ხოლო მას აშშ მოსდევს 16%-ით (UNCTAD, 2019, გვ. 63). მთლიან ექსპორტში საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლის წილის მიხედვით საქართველოს პოზიცია მოკრძალებულია. მსოფლიო ბანკის მონაცემები მოწმობს, რომ საქართველო ამ მაჩვენებლით საკმაოდ ჩამორჩება არა მხოლოდ ევროპის ქვეყნებს, არამედ საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფს.

მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველო სწრაფად აუმჯობესებს ციფრულ ვაჭრობაში ჩართულობის მაჩვენებლებს. B2C ელექტრონული ვაჭრობის ინდექსის მაჩვენებელი 2014 წლის 39.2-დან 2017 წელს 72.3 გაუმჯობესდა.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საინფორმაციო-

ცხრილი 1. საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლის ექსპორტის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში (%)

ქვეყანა	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
საქართველო	0.28	0.28	0.30	0.46	0.69	0.63	1.05	0.45	0.56
ევროკავშირი	6.20	6.34	5.74	5.27	4.99	5.12	5.28	5.32	5.25
ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნები	13.08	13.16	11.56	10.55	9.81	9.77	9.80	9.29	9.20
საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნები	5.15	4.13	4.03	4.94	5.26	5.74	7.27	7.91	3.93

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით <https://data.worldbank.org/indicator/TX.VAL.ICTG.ZS.UN?contextual=region&locations=GE>

ცხრილი 2. საქართველოს ელექტრონული ვაჭრობის B2C ინდექსი, 2014–2017

	2014	2015	2016	2017
ინტერნეტის მომხმარებელი ინდივიდების წილი	49	-	50	60
საკრედიტო ბარათის მომხმარებელი ინდივიდების წილი	18	40	40	61
უსაფრთხო ინტერნეტ სერვერები 1 მლნ ადამიანზე (ნორმალიზებული)	62	62	60	72
UPU საფოსტო კავშირების სანდოობის ქულა	28	28	76	96
ელექტრონული ვაჭრობის B2C ინდექსის ქულა	39.2	44	57	72.3

წყარო: UNCTAD B2C E-commerce Index 2016

ტექნოლოგიური საქონლის ექსპორტის წილობრივი მაჩვენებელი ციფრული ვაჭრობის სურათს მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს. ის უკავშირდება ციფრული ვაჭრობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ინფრასტრუქტურის მიწოდებას (როგორცაა კომპიუტერული და საკომუნიკაციო მოწყობილობები, ელექტრონული მოწყობილობები, სხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქონელი), მაგრამ გლობალურ ვაჭრობაში გაცილებით დიდ როლს ასრულებს ციფრული შინაარსის მქონე პროდუქტები (მაგალითად, პროგრამები), ციფრული ინფრასტრუქტურის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურება და მომსახურების ის სახეობები, რომელთა მიწოდება ელექტრონულად ხორციელდება.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) შეთანხმება საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ (ITA) ტრადიციული სავაჭრო ბარიერების (ტარიფების) მოხსნას უზრუნველყოფს შეთანხმებით გათვალისწინებულ ყველა პროდუქტზე. სამწლიანი მოლაპარაკებების შედეგად, 2015 წლიდან გაფართოვდა პროდუქტების ჩამონათვალი, რომლებზეც ეს შეთანხმება ვრცელდება. მასში დამატებით შეტანილია 201 დასახელების პროდუქტი, რაც გლობალური ვაჭრობის 7%-ს მოიცავს. ეს შეთანხმება არეგულირებს საინფორმაციო-ტექნოლოგიური საქონლისა და მომსახურების ტრადიციული ბარიერების გამოყენებას (ტარიფები, მონაცემთა ლოკალიზაციის მოთხოვნები, კვოტები, ტექნიკური ბარიერები), მაგრამ ვმო-ს შეთანხმება ვერ უზრუნველყოფს განვითარებადი ქვეყნებისთვის აქტუალური ისეთი ბარიერების დაძლევის, როგორებიცაა წვდომა ინტერნეტთან და სხვა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან, სუსტი ფორმალური ინსტიტუტები და სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ასევე, ამ სფეროში არსებული შესაძლებლობების შესახებ ნაკლები ინფორმირებულობა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების არცოდნა. ამგვარი ბარიერების დასაძლევად საჭიროა სავაჭრო პოლიტიკა სიღრმისეული ეკონომიკური რეფორმების ნაწილად მოიაზრებოდეს. იმის გამო, რომ ციფრული ვაჭრობა ვითარდება საკმაოდ სწრაფად, ხოლო ვმო-ს ჩარჩოში მოლაპარაკებების პროცესი და ცვლილებები არსებულ სავაჭრო წესებში საკმაოდ გახანგრძლივებულია, ქვეყნები გამოსავალს ორმხრივ და პლურილატერალურ შეთანხმებებში ხედავენ.

ევროკავშირი აქტიურად ცდილობს უფრო სწრაფად

განავითაროს შესაბამისი რეგულაციები ერთიანი ციფრული ბაზრის ფარგლებში (Digital Single Market), ასევე, არაწევრ ქვეყნებთან თავისი ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების საფუძველზე.

სავაჭრო პოლიტიკის რეფორმების გატარება საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების პროცესის ფარგლებში საერთაშორისო დონეზე დადგენილი ნორმების ურთიერთ-ვაჭრობაში აღიარებით ხდება – ვმო-ის მთელი რიგი მუხლები წარმოადგენს ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს. კიდევ ერთი სტრატეგიაა ურთიერთმსგავსი ინსტიტუტებისა და პროცედურების დანერგვა (მაგალითად, როგორც საბაჟო რეგულირების სფეროში განხორციელდა), ზოგჯერ ხდება ნორმებისა და მოთხოვნების პირდაპირი გადმოტანა (ტექნიკური ბარიერების სფეროში), ხოლო მომსახურებით ვაჭრობაში უპირატესობა ენიჭება თანდათანობით ჰარმონიზაციას (ჯამაგიძე, ინსტიტუტების იმპორტი საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების სფეროში., 2019). ციფრული ეკონომიკის სფეროს რეფორმები მიზნად ისახავს ეკონომიკური და ბიზნეს შესაძლებლობების ხელშეწყობას, ციფრული კომპეტენციების გაძლიერებას და ელექტრონული ვაჭრობის განვითარებას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში, „საქართველო 2020“, პრიორიტეტულ მიმართულებადაა დასახული ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება. ელექტრონული კომერციის დირექტივის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ელექტრონული კომერციის შესახებ კანონპროექტზე. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას ელექტრონული იდენტიფიკაციის და სანდო სერვისების შესახებ (კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ), ის ევროკავშირის (eIDAS) რეგულაციასთან შესაბამისობაში 2018 წელს მოვიდა (European..., 2019).

საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე წვდომა უპირველესი წინაპირობაა ციფრულ ვაჭრობაში ჩართვისთვის. ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები ხელს უწყობს სავაჭრო დანახარჯების შემცირებას და მის განვითარებას. ეს მიმართულება განვითარებადი ქვეყნებისთვისაა აქტუალური, ხოლო განვითარებული ქვეყნები

განსაკუთრებით ზრუნავენ, რომ ისეთი რეგულაციები მოაწესრიგონ, როგორცაა მომხმარებელთა უსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა.

მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურულ-გეოგრაფიული ცვლილებების გავლენა სავაჭრო პოლიტიკაზე

ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება არა მხოლოდ ციფრული ვაჭრობის სფეროში, არამედ საქონლითა და მომსახურებით ტრადიციულ ვაჭრობაში პოზიციების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. მნიშვნელოვანი ტენდენციაა თავისუფალ ვაჭრობაზე ორიენტირებული პოლიტიკის ტრადიციული მიმართულებიდან, რაც ტარიფებისა და სავაჭრო ბარიერების მოხსნას გულისხმობს, გადასვლა კომპლექსურ მიმართულებაზე, როდესაც ვაჭრობის მრავალმხრივ დონეზე გაიოლებს პარალელურად მიმდინარეობს რეგიონული თავისუფალი სავაჭრო (RTA) და საინვესტიციო შეთანხმებების გაფორმება, რომლებიც სულ უფრო მეტად ვითარდებიან „ღრმა“ ინტეგრაციის გზით. დღეს მსოფლიოში საშუალო სატარიფო განაკვეთი ყველა სახის საქონელზე გაანგარიშებით არის 7,54%. 1990 წელს ეს მაჩვენებელი 21,7% იყო. 2008–2016 წლებში საშუალო სატარიფო განაკვეთის ცვლილების დიაპაზონი 1%-ს არ აღემატებოდა, რაც ნიშნავს, ტარიფების განაკვეთები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ამდენად, საშინაო ბაზრის დაცვის ინსტრუმენტებად უმთავრესად არასატარიფო ზომები და რეგულაციები გამოიყენება. შესაბამისად, რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები სწორედ ამ ტიპის რეგულაციების შესუსტებას ახდენენ ვაჭრობის გაიოლების მიზნით. როდრიკი (2018; გვ.5) გამოყოფს ოთხ ძირითად სფეროს, რომლებიც ექვევა „ღრმა“ ტიპის სავაჭრო შეთანხმებების რეგულირების ქვეშ: ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრება; კაპიტალის ნაკადების რეგულაციები; საინვესტიციო დავების გადაწყვეტა და სტანდარტების ჰარმონიზაცია. გარდა ამისა, სამუშაო ძალისა და გარემოსთან დაკავშირებული პოლიტიკის დონისძიებების ჩართვისთვის საფუძველს ქმნის ის რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები, რომლებიც საქონელთან ერთად მომსახურებაზეც ვრცელდება.

2018 წლისთვის ვმო-ს მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული ძალაში მყოფი რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების

რაოდენობა 294 აღწევს. ამ შეთანხმებების ნახევარზე მეტი (150) მოიცავს როგორც საქონლით, ასევე, მომსახურებით ვაჭრობას, ხოლო 143 შეთანხმება მოიცავს მხოლოდ საქონელს. მათგან დაახლოებით ნახევარი განვითარებად ქვეყნებს შორისაა გაფორმებული. ევროკავშირი უდიდეს რეგიონულ სავაჭრო შეთანხმებას წარმოადგენს, რომელზეც მსოფლიო ვაჭრობის ერთი მესამედი მოდის, ხოლო ევროკავშირსა და NAFTA-ს შორის ვაჭრობა რეგიონთაშორის ვაჭრობაში უდიდეს წილს იკავებს. დღესდღეობით რეგიონული ინტეგრაციის ეკონომიკური შედეგების შეფასება ტრადიციულად მიღებული ვაჭრობის შექმნისა და ვაჭრობის შეჩერების ეფექტების მიხედვით არასაკმარისია, რადგან ინტეგრაცია, როგორც ინსტიტუციური მოვლენა, მიმართულია იქითგან, რომ ქვეყნების ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დონეებში განსხვავებები აღმოიფხვრას (Jamagidze, 2010).

როგორც ცხრილში 3 წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, თითოეული სავაჭრო შეთანხმება სხვადასხვა ხარისხით ასტიმულირებს შიდა რეგიონულ ექსპორტს. MERCOSUR-ის, COMESA-ის და ECOWAS-ის შემთხვევაში შიდა რეგიონული სავაჭრო კავშირები უფრო სუსტია, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოსთან მათი ვაჭრობა. სავაჭრო პარტნიორის შეჩერების შესაძლებლობა რეგიონული შეთანხმების ფარგლებში ქვეყნებს გარკვეულ მოქნილობას ანიჭებს, რომ შეინარჩუნონ შედარებითი ავტონომია და მათთვის პრიორიტეტული სავაჭრო პარტნიორების მიმართ განსხვავებული სავაჭრო რეჟიმები აამოქმედონ, ასევე, ეს შეთანხმებები ეროვნული ეკონომიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტად გამოიყენონ. ამით ქვეყნები მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის მოუქნელობის დაძლევის ცდილობენ.

ეკონომიკური დაცემის ან შენელებული ეკონომიკური ზრდის პირობებში აქტიურდება პროტექციონისტული მიმართულებები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში სწორედ ასეთი შენელებული ზრდის ეტაპი დგას, ამასთან, პოლიტიკური პროცესების განვითარებაც პროტექციონიზმის გაძლიერებას უწყობს ხელს. მაგალითად, აშშ-ში ტრამპის არჩევის შემდეგ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშიც გაძლიერდა პროტექციონიზმის ღია მხარდაჭერის ტალღა (Rising Protectionism, Challenges, threats and Opportunities for Australia, 2017). პროტექციონიზმი ერთგვარ შენიღბულ სახეს იღებს, რათა მსოფლიო სავაჭრო

ცხრილი 3. ზოგიერთი რეგიონული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ექსპორტი (პროცენტულად მთლიან ექსპორტში, 2016)

	EU	NAFTA	ASEAN	MERCOSUR	COMESA	ECOWAS
ექსპორტი გეოგრაფიული რეგიონის არაწევრ ქვეყნებთან	6	–	43	8	11	14
ექსპორტი რეგიონული შეთანხმების შიგნით	64	50	24	13	10	10
ექსპორტი დანარჩენ მსოფლიოში	30	50	33	79	79	78

წყარო: World Trade Statistical Review, WTO, 2018, p.74

ორგანიზაციის წესების პირდაპირი დარღვევა არ მოხდეს (Gamberoni & Newfarmer, 2017). ბევრია კონკრეტული მაგალითი, როცა გამოყენებული სავაჭრო ზომები გაუმართლებელ ბარიერებს ქმნის ვაჭრობაში. მაგალითად, ინდონეზიას იმპორტის ლიცენზირების მკაცრი მოთხოვნები აქვს და ზღუდავს იმ პორტების რაოდენობას, რომლის გავლითაც შეიძლება იმპორტი შევიდეს, ინდოეთი ამკაცრებს სტანდარტებს ჩინური სათამაშოების მიმართ, ჩინეთი ზღუდავს ესპანური რძის პროდუქტებს; აშშ-მ 2018 წელს გაამკაცრა ტარიფები ფოლადსა და ალუმინზე. რაც შეეხება ევროკავშირს, კანადას, ინდოეთსა და თურქეთს, ვმო-ს ჩარჩოში ამკაცრებენ ანტიდემპინგურ ზომებს და ცდილობენ შემოიღონ დროებითი ტარიფები დაცვითი ზომების შესახებ შეთანხმების მიხედვით. მიმდინარე სავაჭრო კონფონტაციები არა მხოლოდ გლობალურ ვაჭრობას აფერხებს, არამედ სავაჭრო პოლიტიკასა და წესებზე ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას. სავაჭრო დავები ორმხრივ დონეზე მიმდინარეობს და მათი გადაწყვეტის გზების ძიებაც ორმხრივი მოლაპარაკებების გზით ხდება. ეს მიუთითებს, რომ ქვეყნები მათთვის მწვავე სავაჭრო პრობლემების მრავალმხრივ დონეზე განხილვასთან შედარებით, ორმხრივ და რეგიონულ დონეს უფრო ეფექტურად მიიჩნევენ.

დიდი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკა მნიშვნელოვნად მოქმედებს საერთაშორისო ბაზრებზე და დანარჩენი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკაზე. მაგალითად, აშშ-ის პროტექციონისტულმა ნაბიჯმა BRICS-ის ქვეყნები (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა) აიძულა, ჩამოეყალიბებინათ საერთო ხედვა და მათთვის საერთო საკითხები წარმოეჩინათ მსოფლიო სავაჭრო სისტემის დღისწესრიგში (Chandran, 2018). განვითარებული ქვეყნები საქონლის მსოფლიო ექსპორტის ნახევარს და მომსახურების ექსპორტის 2/3-ს ახორციელებენ, მაგრამ მათი შეფარდებითი წილი მსოფლიო მიწოდებაში იკლებს (UNCTAD, 2018). 2008–2016 წლებში მსოფლიო ვაჭრობის შემცირების მიუხედავად, BRICS-ის ქვეყნების იმპორტი და ექსპორტი იზრდებოდა. მსოფლიო ექსპორტში მათი წილი დაახლოებით 1/3-ს შეადგენს. მათი სავაჭრო კავშირები გაღრმავდა როგორც ურთიერთშორის, ისე სხვა მზარდ ბაზრებთან და განვითარებად ქვეყნებთან. 2018 წელს იოჰანესბურგის სამიტზე ამ ქვეყნებმა გამოთქვეს მზადყოფნა ვმო-ს მრავალმხრივი ჩარჩო-წესების შემდგომ განვითარებაში მიიღონ მონაწილეობა და განსაკუთრებული ყურადღება განვითარებადი ქვეყნების პრობლემებს დაუთმონ.

BRICS-ის ქვეყნების შესახებ ლიტერატურაში სამი ძირითადი მიმართულებაა აქტუალური: მათი როლი გლობალური სავაჭრო წესების ტრანსფორმაციაში; მათი სავაჭრო პოლიტიკა და გავლენა ვმო-ზე და BRICS-ის ქვეყნების პოლიტიკის კოორდინაცია და თანამშრომლობა. სამივე შემთხვევაში ამ ქვეყნებს აქვთ საკმარისი ძალაუფლება, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ არსებული სავაჭრო წესები. ბრაზილიას, ჩინეთს და ინდოეთს, მიუხედავად მათი განსხვავებული

სავაჭრო ინტერესებისა, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ ღოპას რაუნდის მიმდინარეობაზე (Hopewell, 2017).

ღრმა ტიპის რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების გააქტიურებამ, შესაძლოა, შეამციროს ინსტიტუციური განსხვავებები რეგიონებს შიგნით და გაზრდოს რეგიონებს შორის. ამასთან, ახალი მოთამაშეების როლის გაძლიერება და განვითარებად ქვეყნებს შორის დიფერენციაციის ზრდა აუცილებლად საჭიროებს, რომ სავაჭრო წესებმა ასახოს გლობალური ვაჭრობის როგორც სტრუქტურული, ისე მონაწილეთა ეკონომიკური მოდელებიდან გამომდინარე მრავალფეროვნება.

დასკვნა

სავაჭრო წესები, რომლებიც, არეგულირებდა საქონლისა და მომსახურების ტრადიციულ ნაკადებს, ციფრული ვაჭრობის პირობებშიც გამოყენებადი, მაგრამ დღეს ისინი საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ მოქნილ ბიზნეს-მოდელებთან ადაპტაციას საჭიროებს. ეს პროცესი, ციფრული ვაჭრობის განვითარების ტემპთან შედარებით, ნელა მიმდინარეობს.

სავაჭრო პოლიტიკა სულ უფრო კომპლექსური ხდება, რადგან ის აღარ შემოიფარგლება კლასიკური სავაჭრო ინსტრუმენტების გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხით, არამედ მოიცავს რეგიონულ სავაჭრო და საინვესტიციო შეთანხმებების ფარგლებში ვაჭრობის რეგულირებას, სტანდარტებთან და ყველა სხვა სახის არასატარიფო ზომასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, მომსახურების ბაზრებისა და ინტელექტუალური საკუთრების ბაზრების რეგულირებას, მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობას და სხვა. საქმე ისაა, რომ მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის მოუქნელობით გამოწვეული ხარვეზების გამოსწორებას ქვეყნები ორმხრივი და რეგიონული სავაჭრო თანამშრომლობის გააქტიურებით ცდილობენ. მისი ერთ-ერთი მიმართულება რეგულაციების ჰარმონიზაციაა, რათა სტანდარტებისა და სხვა არასატარიფო ზომების, როგორც სავაჭრო ბარიერების ეფექტების მინიმიზაცია მოხდეს. ამ შემთხვევაში დგება ვაჭრობიდან მოგებისა და ეროვნული ეკონომიკური მიზნების დაბალანსების პრობლემა, რადგან ქვეყნების კონკურენციამ სავაჭრო რეგულაციების შემცირებაში შეიძლება მათი სხვა ეკონომიკური მიზნები დააზიანოს.

ჩინეთის, ინდოეთისა და სხვა განვითარებადი ქვეყნების როლი მსოფლიო ვაჭრობაში იზრდება, შესაბამისად, ვიღებთ მსოფლიო ბაზარს, სადაც მრავალი, ურთიერთგანსხვავებული ეკონომიკური მოდელის მქონე აქტორია წარმოდგენილი. მათი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე მრავალმხრივი სავაჭრო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს კოორდინირებული და წესებზე დაფუძნებული სავაჭრო წესრიგის უპირატესობების განხორციელებას (პროექტციონიზმის შემცირება, ღიაობა, პროგნოზირებადობა და სხვა).

ლიტერატურა/REFERENCES

- European Commission. (2019). Association Implementation Report on Georgia. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2019_association_implementation_report_georgia_.pdf
- Jamagidze, L. (2010). Transnacionaluri korporaciebis roli msoflio ekonomikis globalizaciis processhi. Tbilisi, Universali (in Georgian)
- Chandran, Nyshka. (2018). The World's Major Emerging Economies Could End up Benefiting from Global Trade Tensions. <https://www.cnbc.com/2018/07/25/brics-could-benefit-from-global-trade-tensions.html>
- Gamberoni, E., Newfarmer, R. (2017). Trade protection: Incipient but Worrisome Trends, The Collapse of Global Trade, Murky Protectionism, and the Crisis: Recommendations for the G20, Edited by R. Baldwin and Evenett
- Goldberg, P. K. (2019). The Future of Trade. Policy can play a role in shaping the future of the ailing multilateral trade system. <https://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2019/06/pdf/the-future-of-global-trade-goldberg.pdf>
- Hopewell, Kristen. (2017). The BRICS-Merely a Fable? Emerging Power Alliances in Global Trade Governance. *International Affairs* 93(6):1377-96
- International Trade Centre (2017). BRICS countries: Emerging players in global services trade. ITC, Geneva. Productivity Commission. (2017). Rising Protectionism, Challenges, threats and Opportunities for Australia, Research Paper
- Rodrik, Dani. (2018). What Do Trade Agreements Really Do? Working Paper 24344 <http://www.nber.org/papers/w24344>
- UNCTAD, (2015). Technical Notes on ICT for Development, No. 7. Geneva. http://unctad.org/en/PublicationsLibrary/tn_unctad_ict4d07_en.pdf
- United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD) (2017): Information Economy Report: Digitalization, Trade and Development.
- UNCTAD, (2016). B2C E-commerce Index.
- UNCTAD. (2018), Key statistics and Trends in International Trade
- World Bank. (2019). World Development Indicators
- WTO. (2018). World Trade Report 2018
- WTO. (2018). World Trade Statistical Review